



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

**ანოტაცია**  
**„მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოზე დივიდენდის განაწილება“ №2624**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოზე დივიდენდის განაწილებისას დივიდენდის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ დაფუძნდა 2017 წელს მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის მქონე საწარმო შპს „Z“-ის მიერ. აღნიშნულ წელს განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულმა გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 200 000 ლარი. 2018 წლის დეკემბრის თვეში შპს „X“-მა დამფუძნებლებელ შპს „Z“-ზე გაუნაწილებელი მოგებიდან გასცა - 20 000 ლარი.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად, შპს „Z“ წარმოადგენს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განაწილებულ მოგებად არ ითვლება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება.

შესაბამისად, მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისთვის დივიდენდის გაცემა მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს და შპს „Z“-ზე გაცემული 20 000 ლარიდან საწარმოს დაერიცხება და ბიუჯეტში გადასახდელი ექნება  $3\,529\, (20\,000/0,85*15\%= 3\,529)$  ლარი მოგების გადასახადი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, მოგების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის.